ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №246019

ნომერი: AR161811

თარიღი : 27.06.2012

გაცემის თარიღი : 10.07.2012

გაცნობის თარიღი : 10.07.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი გმირთა , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ამაშუკელი პ/ნ 01017037264
- თბილისი ალ.გრიბოედოვის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, გმირთა მოედნის #1–ში (ძეგლის ტერიტორია) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი: #01.15.03.001.006) რესტორნის განთავსების მიზნით სარეკრეაციო ზონა 1-ის ცვლილებას წარმოდგენილი დანართის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ მოცემული მიწის ნაკვეთის (თქვენს მიერ დანართში მონიშნული ტერიტორიის) სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობის საკითხი ერთხელ უკვე განხილული იქნა "საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს - გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს" 2012 წლის 10 აპრილის #15 სხდომაზე თქვენი AR136722 განაცხადის საფუძველზე, რომლის დასკვნის თანახმად აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი. შესაბამისად, სამსახურის მიერ გამოიცა ბრძანება №128729.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე და ვინაიდან, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით თქვენს მიერ არ არის წარმოდგენილი ახალი გარემოებები, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას საკითხი გადააგზავნოს "საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს - გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს" სხდომაზე განმეორებით განსახილველად.

დანართის სახით გიგზავნით სამსახურის ბრძანებას №128729 და ზემოთ აღნიშნული სხდომის ოქმიდან ამონარიდს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge